ანტიკორუფციულ ბიუროს უფროსს
ბნ. რაჟდენ კუპრაშვილს
info@acb.gov.ge

**სსიპ ანტიკორუფციული ბიუროს 2025 წლის 16 ივნისის N 00009735 წერილის საპასუხოდ**

თქვენი 2025 წლის 16 ივნისის N 00009735 წერილის საპასუხოდ, რომელიც ეხება ინფორმაციის გამოთხოვას ა(ა)იპ „საფარიდან“, კომერციული ბანკებიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 ივნისის ჩათვლით პერიოდისთვის, გაცნობებთ შემდეგს:

საფარის საქმიანობის, დაფინანსებისა და გუნდის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ჩვენს ოფიციალურ ვებგვერდზე https://sapari.ge. ჩვენი საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების შესაბამისად, გიზიარებთ, ჩვენი ვებგვერდის რომელ გვერდებზეა განთავსებული აღნიშნული ინფორმაცია:

- **ინფორმაცია საფარის მისიის, მიზნების, ისტორიის** შესახებ განთავსებულია გვერდზე სახელად „ჩვენ შესახებ“;
- **ინფორმაცია ფონდის გუნდის** შესახებ განთავსებულია გვერდზე სახელად “გუნდი”;
- **ინფორმაცია საფარის პროგრამების საქმიანობის და შედეგების** შესახებ განთავსებულია ველში სახელად „რას ვაკეთებთ:“ “სერვისები”, **“**ცოდნის გაზიარება”, “კვლევები”, “ანგარიშები”, “პროექტები” “საფარის საქმეები”, “საფარის აქტივობები”;
- **ინფორმაცია საფარის მიერ მიღებული დაფინანსების, დონორების მიერ მხარდაჭერილი პროექტებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების** შესახებ განთავსებულია გვერდზე სახელად “დონორები და პარტნიორები” და “პროექტები”.
- **ინფორმაცია საფარის საქმიანობის შესახებ მომზადებული ფინანსური ანგარიშების** შესახებ განთავსებულია გვერდზე სახელად „ფინანსური ანგარიშები“;
- **ინფორმაცია საფარის საქმიანობის ფარგლებში მომხდარი საინტერესო ამბების** შესახებ განთავსებულია გვერდზე სახელად “სიახლეები”;
- **ინფორმაცია სოციალური ქსელების შესახებ:** საფარის ოფიციალური ანგარიშები Facebook-ზე არის საფარი • Sapari, განძი, ფანჯარა, Safe YOU, სკივრი, X-ზე - UnionSapari, Instagram-ზე Union.Sapari, განძი, ფანჯარა, Safe YOU, სკივრი, Tik Tok-ზე Union.Sapari, განძი, ფანჯარა, Safe YOU, სკივრი, LinkedIn-ზე Union Sapari, YouTube-ზე კი - sapariunion4415. აღნიშნულ სოციალურ ქსელებზე წვდომა მარტივად შესაძლებელია ჩვენი ვებგვერდის ზედა პანელზე განთავსებული შესაბამისი სიმბოლოებიდან. აქვე მოგახსენებთ, რომ სოციალურ მედიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი გაღებულია ჩვენი საერთო საოპერაციო ბიუჯეტიდან და ეს ხარჯი 2024 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 10 ივნისის პერიოდისთვის შეადგენს $33 406.74.

**ინფორმაცია ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი, ბენეფიციარი, პარტნიორი, თანამშრომელი და სხვა მესამე პირების პერსონალურ მონაცემებზე:** გაცნობებთ, რომ როგორც ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაცია, ვალდებულები ვართ დავიცვათ როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობის,

ისე საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალური მონაცემების საიდუმლოებას, მათ შორის, ჟურნალისტის, ადვოკატისა და სხვა სპეციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

ჩვენი თანამშრომლებისა და პარტნიორების გარდა, თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხება ორგანიზაციის დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, კერძოდ, გენდერული ძალადობის, მათ შორის, ოჯახში, ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის, დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების, ფემიციდის, ტრეფიკინგის, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს. ასეთი ადამიანების პერსონალური მონაცემებისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების ამსახველი სხვა ცნობების ბიუროსთვის გადაცემა იქნებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის, პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონმდებლობის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სხვა არაერთი ნორმის უხეში დარღვევა, რომლებიც უზრუნველყოფს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას, პერსონალური მონაცემების გაუმჟღავნებლობას და ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალობას.

ამასთან, ჩვენ მყარად მივიჩნევთ, რომ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და ნებისმიერი სხვა კანონმდებლობა, რომელიც მასტიგმატიზებელი და შეურაცხმყოფელი იარლიყებით მოიხსენიებს ადამიანთა საზოგადოებრივ ერთობას, აუქმებს მათში მომუშავე და მესამე პირების პირადი ინფორმაციის დაცულობას, და მიზნად ისახავს დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შეჩერებას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს.

ამის გამო, ჩვენ მსგავსი კანონმდებლობა (კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ - რუსული კანონი) ჯერ კიდევ 2024 წელს გავასაჩივრეთ როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ისე - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ანალოგიურად, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებულია „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და ჩვენ ვასაჩივრებთ მას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც. ჩვენ მივმართავთ ყველა სამართლებრივ ზომას და გავასაჩივრებთ ყველა კანონს, რომელიც მიზნად საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას დაისახავს.

ბაბუცა (ბაია) პატარაია

დირექტორი